სუს

სურსათის
ეროვნული
სააგენტო

NAITS

ცხოველთა რეგისტრაციის
ეროვნული სისტემა

With funding from
Austrian
Development
Cooperation

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

Food and Agriculture
of the Organization
United Nations

საფუტკრეების რეგისტრაცია

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ

NFA.GOV.GE

ან დარეკეთ: 1501

2023 წლიდან მეფუტკრე ფერმერებს საშუალება ეძლევათ იდენტიფიკაცია - რეგისტრაციის პროცესში ჩაერთონ

ყურადღება!

იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ხელს უწყობს ცხოველური წარმოშობის პროდუქტის მიკვლევადობას. მიკვლევადობის სისტემის დანერგვა უმნიშვნელოვანესი რგოლია სურსათის უვნებლობის ჯაჭვში.

რატომ დავარეგისტრირო?

- იმისათვის, რომ ვისარგებლო სახელმწიფო პროგრამებით
- მივიღო მონაწილეობა საგრანტო კონკურსებში
- ვისარგებლო საბანკო პროდუქტებით, მაგალითად, იაფი აგრო-სესხით
- ვისარგებლო სადაზღვევო პაკეტებით
- დავადასტურო ფუტკრისგან მიღებული პროდუქტების ხარისხი
- გავხდე კონკურენტურიანი ბაზარზე
- შევძლო ფუტკრისა და მისგან ნაწარმოები პროდუქციის სერტიფიცირება და ექსპორტი
- შევიქმნა მეფუტკრის ისტორია
- მივიღო თანამედროვე და კვალიფიციური საკონსულტაციო მხარდაჭერა
- შევიტანო წვლილი მეფუტკრეობის დარგის პოპულარიზაციასა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებაში

როგორ დავარეგისტრირო?

- საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ ან მუნიციპალურ ოფისებს, სადაც სააგენტოს წარმომადგენელი შეგავსებინებთ განაცხადის ფორმას.
- თქვენივე განცხადების საფუძველზე, სააგენტო თქვენი საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაციას მოახდენს.
- იდენტიფიკაცია ენიჭება ფუტკრის თითოეულ ოჯახს, ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით. ფუტკრის სკების იდენტიფიკაციას თმათზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს.
- თქვენს საფუტკრე მეურნეობას არეგისტრირებს სააგენტო. ხოლო ფუტკრების ოჯახებს და სკებს - თქვენ, მათზე პასუხისმგებელი პირი.

1. იდენტიფიკაციის დროს სკის თვალსაჩინო ადგილას დაიტანთ სარეგისტრაციო და საიდენტიფიკაციო ნომრებს საღებავით, აბრით, ლამინირებული სტიკერით, ან სხვა საშუალებით. თქვენი საფუტკრე მეურნეობის სარეგისტრაციო ნომერი გადმოგეცემათ რეგისტრაციისას. ხოლო სკებს საიდენტიფიკაციო ნომრებს თქვენ მიანიჭებთ მარტივი, თანმიმდევრული რიგითი ნუმერაციით.
2. იმ შემთხვევაში, თუ 1 სკაში რამდენიმე ფუტკრის ოჯახია, საიდენტიფიკაციო ნომერს დაუმატეთ ტირე (-) და ოჯახის შესაბამისი ციფრი.

გახსოვდეთ

საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაცია უფასოა.

საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაცია ვერ გახდება თქვენთვის გადასახადების დაწესების ან სოციალური სტატუსის შეცვლის მიზეზი.

სისტემაში მიეთითება პასუხისმგებელი პირ(ებ)ი - მფლობელი, მომვლელი. სისტემაში მითითებული არ იქნება მესაკუთრე.

ეს მნიშვნელოვანია

პასუხისმგებელი პირი - მფლობელი, ან მომვლელი - უნდა აწარმოებდეს სადგომის წიგნაკს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით, რომლის ნიმუში გადმოგეცემათ მეურნეობის რეგისტრაციის დროს, სააგენტოს მუნიციპალურ ან რეგიონულ ოფისში. სადგომის წიგნაკის ჩანაწერები მნიშვნელოვანია ფუტკრის ჯანმრთელობასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიკვლევადობისთვის.

გაითვალისწინეთ

რეგისტრაციის გარეშე დაუშვებელია ფუტკრის ოჯახების გადაადგილება, ყიდვა-გაყიდვა, პროდუქტის რეალიზაცია.

საფუტკრე მეურნეობების რეგისტრაციას სურსათის ეროვნული სააგენტო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ცხოველთა რეგისტრაციის ეროვნული სისტემის (NAITS) პროექტის მხარდაჭერით, უსასყიდლოდ უზრუნველყოფს.

კანონმდებლობა: საქართველოს მთავრობის დადგენილებები #483/3.10.2019, #505/15.10.2021

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: ცხელი ხაზი - **1501**